# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№69 (25.093) შაბათი, 1 - 3 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 20-25, შიდამთიან რაიონებში - 18-23 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

## კრიალოსა N იუსი

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არც ერთი ფაქტი არ იქნა წარმოდგენილი ჩვენ მიმართ, რომ საქართველო ვინმეს რაიმე სანქციის გვერდის არიდებაში დაეხმარა, - ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გუშინ პარლამენტში წლიური მოხსენების წარდგენისას განაცხადა. „ჩვენს კოლეგებს, პარტნიორებს გავუზიარეთ ინფორმაცია, რომ 1 300-მდე შემთხვევა გვაქვს იდენტიფიცირებული ფინანსთა სამინისტროს მიერ. ჩვენ ვაცნობეთ ევროპელ კოლეგებს, ევროპულ სახელმწიფოებს, რომ სწორედ მათი ქვეყნებიდან მოდიოდა ეს სანქცირებული პროდუქცია. ჩვენ აქეთ ვეხმარებით ჩვენს ევროპელ მეგობრებს, რომ არ მოხდეს სანქცირებული პროდუქციის უკანონო რეალიზაცია და გადაზიდვები. ასე რომ, ჩვენ ამ პროცესში ვართ აბსოლუტურად პირნათელი“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა სანქციების კოორდინატორების ვიზიტზე საუბრისას.

* * *

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რუსეთი ვალდებულია აღასრულოს გადაწყვეტილებები, რომელიც ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ საქმეზე მიიღო და ჩვენ დაჟინებით მოვითხოვთ ამას თითოეულ შეხვედრაზე, სადაც ეს საქმე განიხილება, - განაცხადა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე. მისივე თქმით, ევროპის საბჭო ურყევი რჩება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

* * *

პარტია „ხალხისთვის“ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრიანების სურვილს გამოხატავს. „ჩვენ ვართ პარტია, რომელიც დაარსების დღიდან იზიარებდა და იბრძოდა სოციალ-დემოკრატიული ფასეულობებისთვის. ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ „ხალხისთვის“ გახდეს ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი“, - განაცხადა პარტიის ლიდერმა ანა დოლიძემ.

* * *

კასპში, სადაც „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა საპენსიო პროგრამა წარადგინა, დაპირისპირება მოხდა. შეკრებილებმა მის მანქანასთან გვირგვინი მიიტანეს და ავტომობილი დაუზიანეს. „მოგვიქსიეს საკრებულოს წევრები, „ქართული ოცნების“ აქტივისტები, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, ილანძღებიან, იგინებიან. ცხადაია, ეს ყველაფერი არის ორგანიზებული“. - განაცხადა ლევან ხაბეიშვილმა.

**მოამზადა ია შველიძემ**

# საქართველო მტკიცედ დგას შეერთებული შტატების გვერდით



*- მთელი ისტორიის განმავლობაში თქვენი ქვეყანა ამაყად ატარებდა თავისუფლებისა და დემოკრატიის ჩირაღდანს, რაც ბრწყინვალე მაგალითს აძლევდა მსოფლიოს. შეერთებული შტატები გამუდმებით იცავდა ადამიანის საყოველთაო უფლებებსა და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, ხელს უწყობდა განვითარებასა და პროგრესს, მხარს უჭერდა კანონის უზენაესობას, რითაც თავის კვალს ტოვებდა მსოფლიო ისტორიაში, - თქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გამართულ მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას.*

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველო მტკიცედ დგას შეერთებული შტატების გვერდით.

„ჩემთვის დიდი სიამოვნებაა დღეს აქ ყოფნა და ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების გულწრფელი მოლოცვა თქვენთვის და ამერიკელი ხალხისთვის...

საქართველო, ქართველი ხალხი, როგორც ამაყი და თავისუფლების მოყვარული ერი, იზიარებს თავისუფლებისა და დემოკრატიის იგივე ღირებულებებსა და პრინციპებს, რაც ჩვენს მტკიცე მეგობრობას განაპირობებს. ამ გამოწვევებით აღსავსე დროს ჩვენს მჭიდრო პარტნიორობასა და ერთიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და სტაბილურობის დასაცავად არა მხოლოდ ჩვენს რეგიონში, არამედ გლობალურ დონეზე. საქართველო მტკიცედ დგას შეერთებულ შტატებთან, ისევე როგორც ჩვენს პატივცემულ საერთაშორისო პარტნიორებთან, რადგან ერთად ვიცავთ ფუნდამენტურ ნორმებსა და ღირებულებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს საერთაშორისო საზოგადოებას“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცე მხარდაჭერისა და ფასდაუდებელი წვლილისთვის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე დაწინაურებაში.

„ჩვენი ერის უახლესი ისტორია ძვირფასი თავისუფლების დასაცავად წარმოებულ ომებს მოიცავს. უსაფრთხოების გამოწვევების გათვალისწინებით, რომლებსაც დღეს ვაწყდებით, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერას ჩვენი ტერიტორიული კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის კუთხით. მადლიერება მინდა გამოვხატო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის იდეის მტკიცე მხარდაჭერისთვის. მჯერა, რომ ჩვენი ძვირფასი პარტნიორების ურყევი მხარდაჭერით, შეგვიძლია რეალობად ვაქციოთ მშვიდობიანად გაერთიანებული საქართველო და ევროატლანტიკურ საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებული მისწრაფებები.

ასევე მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცე მხარდაჭერისა და ფასდაუდებელი წვლილისთვის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაში, ჩვენი ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე დაწინაურებაში. დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული, საქართველო შეერთებული შტატების მტკიცე და ერთგული პარტნიორია ამ რეგიონში. ქართველი სამხედროები ამერიკელი ჯარისკაცების მხარდამხარ იდგნენ და ერთად იცავდნენ გლობალურ უსაფრთხოებას და საერთაშორისო წესრიგს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ნება მომეცით, ქართველი ხალხის და ჩემი მთავრობის სახელით, გამოვხატო გულწრფელი მადლიერება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და საქართველოს ეკონომიკის გაძლიერების მტკიცე მხარდაჭერისთვის. მჯერა, რომ შეერთებულ შტატებსა და საქართველოს ვაჭრობისა და კომერციის მიმართულებით აუთვისებელი პოტენციალი აქვთ. მოუთმენლად ველით ახალი შესაძლებლობების გახსნას ჩვენი ბიზნესისთვის, მხარს ვუჭერთ ამერიკული კაპიტალის შემოდინებას და საქონლის მიმოქცევას ჩვენი ქვეყნის მიმართულებით და პირიქით. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის პირდაპირი ავიარეისი უდავოდ, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ამ მიზნების მიღწევაში და კიდევ უფრო დააახლოებს ჩვენს ერებს.

უნდა აღვნიშნო, რომ შეერთებულმა შტატებმა დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს სხვადასხვა სფეროს - მათ შორის, თუმცა არა მხოლოდ, ჯანდაცვისა და განათლების სისტემების - გაუმჯობესებაში. დიდად ვაფასებთ ჩვენი მოქალაქეებისთვის ღირებული საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამების შეთავაზებას. ხალხთა შორის თანამშრომლობის მხარდაჭერით, ჩვენ ვაღიარებთ ჩვენს ქვეყნებს შორის ძლიერი და გრძელვადიანი პარტნიორობის ხელშეწყობის მნიშვნელობას“.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის ელჩს საქართველოში კელი დეგნანს, რომლის მოღვაწეობის ვადა ჩვენს ქვეყანაში იწურება.

ღონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა კელი დეგნანმა.

საზეიმო მიღებას, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში გაიმართა, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, ბიზნესის, პოლიტიკური პარტიების, მედიის და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.


## «გლობალიზაცია რომც არ გვინდოდეს, ეს გარდაუვალია» 3

## 800 000-ზე მეტი ვიზიტორი აჭარაში და გაორმაგებული საერთაშორისო ვიზიტები 4



ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# პირველად ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER) ისტორიაში დავით ბაციკაძე ვიცე-პრეზიდენტი გახდა

აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე ევროპის რეგიონთა ასამბლეის (AER, era) ვიცე-პრეზიდენტია. პირველად, ასამბლეის ისტორიაში, საქართველოს წარმომადგენელი გახდა ვიცე-პრეზიდენტი. აჭარის საკანონმდებლო ორგანოს წევრის ამ საპატიო თანამდებობაზე არჩევის საკი-თხი ბარსელონაში, ევროპის რეგიონთა ასამბლეის სიმპოზიუმსა და ბიუროს სხდომაზე გადაწყდა.



ესპანეთში, კატალონიაში გამართულ ღონისძიებებს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრები ტიტე აროშიძე და დავით ბაციკაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანი და ბათუმის საკრებულოს წევრი როსტომ ხალვაში ესწრებოდნენ.

ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) სიმპოზიუმზე, რომელშიც ევროპის 140 რეგიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, აირჩიეს ასამბლეის ახალი პრეზიდენტი ალბერტ კასტელანოს მადუელი. სიმპოზიუმზე არჩევნების პარალელურად განიხილეს საერთო გამოწვევები, შესაძლებლობები და განსაზღვრეს ერას პრიორიტეტები.

ევროპის რეგიონთა ასამბლეა (AER) 1985 წელს დაარსდა, იგი ევროპის უმსხვილეს დამოუკიდებელ რეგიონულ ხელისუფლებათა ქსელია.




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა 1997 წლიდან ევროპის რეგიონთა ასამბლეის სრულუფლებიანი წევრია. გაწევრიანების შემდეგ რეგიონმა ისარგებლა ორგანიზაციის არაერთი პროგრამით.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი**

# ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით აჭარაში შეწამვლის ღონისძიება მიმდინარეობს

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**

***აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები აქტიურად მიმდინარეობს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში***

ღონისძიებები უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით ხორციელდება. წამლობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებაში აქტიურად არიან ჩართულნი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ფუტკრის დაცვის მიზნით, წამლობა ღამის საათებში მიმდინარეობს.



თერმული ნისლისა და ცივი შესხურების ტექნოლოგიით წამლობები, კლიმატისა და ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით, ფაროსანას გამოზამთრების ფაზის დადგომამდე გაგრძელდება.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ფაროსანას წინააღმდეგ წამლობით ღონისძიების აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები არჩილ ბერიძე, მირიან ქათამაძე და სურსათის ეროვნული სააგენტოს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის გურია-აჭარის ჯგუფის უფროსი ირაკლი გოთუა დაესწრნენ.

# თუ აბიტურიენტი ეროვნულ გამოცდაზე ვერ მივიდა...

**ნაილე ხერთვისელი 27 48 93**

***განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ცვლილება შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებაში, რომლის მიხედვით, ტესტირებაზე გამოუცხადებელ აბიტურიენტს უფლება აქვს, მოითხოვოს დამატებითი ტესტირების ჩატარება, თუ მან საგამოცდო ბარათში მითითებულ დროს ვერ შეძლო გამოცდაზე გამოცხადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში არანაკლებ ერთი დღე-ღამით ყოფნის მიზეზით***

ოჯახის წევრის (მეუღლე, დედა, მამა, და-ძმა, შვილი) გარდაცვალების გამო, დაუძლეველი ძალის გამო.



სამინისტროს ინფორმაციით, ტესტირებაზე გამოუცხადებელმა აბიტურიენტმა სტაციონარულ დაწესებულებაში ყოფნის ან ოჯახის წევრის გარდაცვალების და ნათესაობის დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარადგინოს ცენტრში შესაბამისი საგამოცდო სესიის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

„თუ აბიტურიენტმა დაუძლეველი ძალის გამო ვერ შეძლო საგამოცდო ბარათში მითითებულ დროს გამოცდაზე გამოცხადება, იგი ვალდებულია შესაბამისი საგამოცდო სესიის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ცენტრში წარადგინოს დასაბუთებული განცხადება და არსებობის შემთხვევაში, განცხადებაში აღნიშნული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია“, - ნათქვამია ბრძანებაში.

დამატებით საგამოცდო სესიაზე გამოყენებულ ტესტში მიღებული ქულები არ გათანაბრდება.

# ნელი სალაძის სახელობის ტურნირზე

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

***თელავის სპორტის სასახლეში გაიმართა ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის საერთაშორისო ტურნირი, სადაც საქართველოს, სომხეთისა და უკრაინის 240 სპორტსმენი ასპარეზობდა***

ტურნირი სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩატარდა. საუკეთესო შედეგი აჩვენეს მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლის ტანმოვარჯიშეებმა.

ყველას აჯობა ელენე შარაბიძემ, რომელმაც 2008 წელს დაბადებულ სპორტსმენთა შორის, კატეგორია პროფში - მრავალჭიდში, ასევე ცალკეულ საგნებში - ბურთითა და გურზებით ვარჯიშში სამი ოქროს მედალი და ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა.

სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში დაბადებულ სპორტსმენთა შორის მრავალჭიდში (კატეგორია) მარიამ ეზიაშვილი ბრინჯაოს მედალს დასჯერდა, ლიზი ჯინჭარაძემ და ერუკა მარტოვამ ჩემპიონობა მოიპოვეს, ანასტასია ცინცაძე მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა.

ასევე მრავალჭიდში (კატეგორია C) ვერცხლის მედალი მოიპოვა მილანა საგადაიკმა.

გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული სპორტსმენები დიპლომებით, მედლებითა და თასებით დაჯილდოვდნენ.



**ამბები**

# კიდევ ერთი უარი – მიხეილ სააკაშვილს

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მსჯავრდებული ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის სარჩელი უკრაინის წინააღმდეგ მისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევის შესახებ. სარჩელში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ითხოვდა საკუთარი უფლებების დარღვევის აღიარებას მისთვის უკრაინის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან და ქვეყნიდან გაძევებასთან დაკავშირებით.

„სტრასბურგმაც დაგვიდასტურა, რომ სააკაშვილს ზნე არ უცვლია, ის არის ერთი თაღლითი და მავნებელი კაცი, რომელსაც საქართველო და მისი ინტერესები საერთოდ არ ადარდებს.

წელიწად-ნახევარი სააკაშვილი და მისი დამქაშები აწვალებდნენ საქართველოს ტყუილით, თითქოს სააკაშვილი კვდებოდა, დემენცია ჰქონდა, ვერ ლაპარაკობდა და ხელები უკანკალებდა. სააკაშვილი ჩვეულებრივი აფერისტი და სიმულანტია... ჩამოვიდა ჯგუფი სტრასბურგიდან, შეისწავლეს და ნახეს, რომ არაფერი სჭირს ამ კაცს და მშვენიერ პირობებშია. ეს კიდევ ერთი დასტურია, „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ლიდერი როგორი მავნებლები არიან ამ ქვეყნის მიმართ. ეს ქვეყანა როგორ ფეხებზე ჰკიდიათ.

ერთადერთი, რაც მათ აინტერესებთ, ეს არის ხელისუფლებაში დაბრუნება და სააკაშვილის გათავისუფლება, საქართველოში კი თუნდაც ქვა ქვაზე არ დარჩენილა“, - ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა, დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა.

პოლიტიკოსის თქმით, მისთვის ყველაზე შეურაცხმყოფელი იყო, ის რომ სააკაშვილმა, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა, როგორც კი საპრეზიდენტო ვადა ამოეწურა, ქართული პასპორტი გადახია და „დაიწყო აფერისტობა უკრაინაში“.

მაისის ბოლოს სტრასბურგის სასამართლომ „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ საქმეზე უარი უთხრა სააკაშვილს ვარშავაში სამკურნალოდ გადაყვანაზე. ამავდროულად სახელმწიფოს არ დაევალა ქვეყნის შიგნით სხვა სამედიცინო დაწესებულებაში მისი გადაყვანა.

სააკაშვილი საქართველოში უკრაინიდან არალეგალურად 2021 წლის 29 სექტემბერს დაბრუნდა. ის პირველ ოქტომბერს თბილისში დააკავეს. მას მისჯილი აქვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემისა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში მსჯავრდებულების შეწყალების საქმეებზე.

ამავდროულად თბილისის საქალაქო სასამართლო მის წინააღმდეგ განიხილავს სამ საქმეს - სახელმწიფო სახსრების გაფლანგვის, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის საქმეებს.

დაკავების დღიდან სააკაშვილმა ციხის საკანში ნახევარ წელზე ნაკლები დრო გაატარა, დანარჩენ დროს ის კლინიკებში იმყოფებოდა - ჯერ ციხის, შემდეგ გორის ჰოსპიტალში, ხოლო 2022 წლის მაისიდან დღემდე კლინიკა „ვივამედში“.

# „გლობალიზაცია რომც არ გვინდოდეს, ეს გარდაუვალია“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა ძლიერი ეკონომიკა, რომლის მიღწევა შეუძლებელია, თუ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სრულყოფილად არ ნერგავ თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს, არ ამაღლებ შრომის კულტურას. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია ახლა, ციფრული ეკონომიკის პერიოდში. ამ მოთხოვნების გათავისება წარმატების საწინდარია*

*რამდენად გაცნობიერებული აქვთ ეს ჩვენში? როგორია ქვეყნის ეკონომიკის რეალური სურათი? რა გვიშლის ხელს წინსვლაში? რისთვის უნდა ვიზრუნოთ, როგორ გადავეწყოთ მენტალურად სასურველ რელსებზე და ცვლილებებს, დროის მოთხოვნას საქმით როგორ ვუპასუხოთ? - ამ საკითხებზე თავის თვალსაზრისს ეკონომიკის ექსპერტი, ბსუ-ის პროფესორი* ***პაატა აროშიძე*** *გვიზიარებს.*

**- 30 წელი საკმარისია, რომ ქვეყანამ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს. საქართველოს მაგალითზე როგორი სურათია?**

- საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, ანუ 1991 წლის 9 აპრილს და მანამდე საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა, როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, არ იყო სახარბიელო. ის პრობლემები, რაც საბჭოთა ეკონომიკას ჰქონდა, ჩვენს ქვეყანაზეც აისახებოდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როგორც ცნობილია, გამოცხადდა გარდამავალი პერიოდი, რომელიც უნდა მოხმარებოდა იმ ბაზისის შექმნას, რაც სოციალისტური წყობიდან კაპიტალისტურზე და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას სჭირდებოდა, მაგრამ ცნობილმა მოვლენებმა - სამოქალაქო და აფხაზეთის ომებმა, ანუ რუსეთის აგრესიამ საქართველოსადმი ამას ხელი შეუშალა და თავიდან დაიწყო ქვეყნის მშენებლობა. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო უკვე უცხოელების თვალთახედვის არეალში ხვდება. ამ მხრივ ბოლო პერიოდი არასახარბიელო იყო - მსოფლიო ფინანსური კრიზისი, პანდემია, ყველაფერმა ამან გამოიწვია ის, რომ ქვეყანამ თვალშისაცემ ეკონომიკურ წარმატებას ვერ მიაღწია. ბოლო ათწლეულში ვერ ნახავთ სახელმწიფოს, რომელსაც გარღვევა ჰქონდეს ეკონომიკური განვითარების მხრივ. ეს ყველაფერი გარემო პირობებზე, ეგზოგენურ ფაქტორებზე უფრო არის დამოკიდებული, ვიდრე საშინაო პოლიტიკაზე, მოგეხსენებათ, პანდემიის ფაქტორი მთელი მსოფლიოსთვის მოულოდნელი იყო...

**- საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რომელშიც ახლა ვიმყოფებით, როგორ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე?**

- კლასიკური გაგებით, დღეს მეოთხე სამრეწველო რევოლუციის პერიოდია მთელ მსოფლიო ეკონომიკაში, ანუ ციფრული ეკონომიკის პერიოდი. როგორ არის ეს გადმოტანილი საქართველოში თუნდაც ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში, სხვა საკითხია. შერეული ეკონომიკური მოდელი, რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია გაბატონებული, ნიშნავს, რომ სახელმწიფო არეგულირებს ეკონომიკას და ეს არის ყველაზე მისაღები ეკონომიკური მოდელი.

**- რას გულისხმობთ?**

- ავიღოთ პანდემიის პერიოდი, რომლის დაწყებისთანავე - 2020 წლის მარტის დასაწყისში აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა, რომ პანდემიას დაარეგულირებს თავად ბაზარი, მაგრამ შემდგომში აღმოჩნდა, რომ მთავარი იყო არა მარტო ბაზრის რეგულირება, არამედ სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი ფუნქციების შესრულება. სხვაგვარად



რომ ვთქვათ, როცა ქვეყანა კრიზისშია, მაშინ სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია იზრდება, ხოლო როცა ამ კრიზისს გადალახავს, მაშინ შეუძლია შეამციროს ეს ფუნქცია ან არჩევითი რეგულირება გამოიყენოს. პანდემიას დაემატა

***„საერთოდ, ეკონომიკა ყოველთვის პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. რეალურად ექსპანსია არ იგრძნობა. საქართველოში ამას წინათ ჩამოსული იყო რუსეთის სანქციების საკითხში ევროკავშირის მთავარი ექსპერტი. ის დადებს თავის დასკვნას, არის თუ არა საქართველო იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც რუსეთს ეხმარებიან სანქციების გვერდის ავლაში***

რუსეთ-უკრაინის ომი, რომელმაც შეცვალა საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგი.

**- მმართველი პარტია ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე საუბრობს, ოპოზიცია საწინააღმდეგო აზრზეა, რეალური სურათი როგორია?**

- ეკონომიკური ზრდის აღრიცხვა ხდება სტატისტიკის მეშვეობით. გააჩნია, ეკონომიკურ ზრდაში რას ვგულისხმობთ. სიტუაცია ციფრებით, ცხადია, გაუმჯობესებულია. მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა წინა წელთან შედარებით და, ასევე, საგარეო ვაჭრობის ბრუნვაც, ექსპორტიც გაზრდილია და ასე შემდეგ, მაგრამ მთავარი პრობლემა ისაა, რომ ეს თითოეულ მოქალაქეზე არ აისახება. რატომ? ეკონომიკური ზრდა, წმინდა თეორიული თვალსაზრისით რომ ვისაუბროთ, მეყსეულად არ აისახება მოქალაქეების მატერიალურ კეთილდღეობაზე, ანუ ეკონომიკური ზრდის დროს, მართალია, იზრდება სამუშაო ადგილები ზოგიერთ დარგში, მაგრამ ზოგან - დეფიციტია. მაგალითად, ბიზნესმენები ამტკიცებენ, რომ სხვადასხვა დარგში არის კადრების დეფიციტი. ბათუმის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, უამრავი სამუშაო ადგილია, სადაც, ძირითადად, უცხოეთის მოქალაქეები არიან დასაქმებული, მაგალითად, მშენებლობებზე ძირითადად თურქები მუშაობენ. ადამიანი ეძებს მისთვის მნიშვნელოვან ისეთ სამუშაო ადგილს, სადაც ყველაზე უკეთ იქნება, ანუ ექნება ღირსეული ანაზღაურება. ქვეყანაში ეკონომიკის გაუმჯობესება თითოეულ მოქალაქეზე, ოჯახზე უნდა იყოს ასახული.

**- ლარის გამყარებას ექსპერტები საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოსვლას უკავშირებენ...**

- რუსეთ-უკრაინის ომამდეც ლარის გამყარების ნიშნები შენარჩუნებული იყო. რა თქმა უნდა, უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში ამყარებს ეროვნულ ვალუტას. საქართველოში ერთადერთი საგადამხდელო საშუალება ლარია და როცა იზრდება მასზე მოთხოვნა, შესაბამისად, ლარის კურსი მყარდება იგივე დოლარსა თუ სხვა უცხოურ ვალუტასთან მიმართებით. სიმართლის მარცვალი იმაშია, რომ უცხოელების (რუსების, უკრაინელების) შემოსვლამ ქვეყანაში გამოიწვია ლარის გამყარება.

**- ექსპერტები აცხადებენ, რომ საქართველოში დაახლოებით, რუსეთის 150 ათასი მოქალაქე ჩამოსახლდა და მათ ანგარიშზე მილიარდ დოლარზე მეტია, რაც საქართველოს ეკონომიკურ ექსპანსიას ნიშნავს.**

- რას ნიშნავს ეკონომიკური ექსპანსია? კი არის ინფორმაცია, რომ რუსები ამ თანხას უძრავ ქონებაში, ბინებში აბანდებენ, თუმცა წარმოებაში - ნაკლებად. ჩვენ ვხედავთ, რომ გარკვეული რაოდენობის კაფე-ბარები რუსებს, უკრაინელებსაც აქვთ გახსნილი, მაგრამ შეგახსენებთ, იგივე ჰკითხეს წინა ხელისუფლების ეკონომიკის გურუ ბენდუქიძეს, რომელმაც ასეთი პასუხი გასცა: ფულს სუნი არ უდისო და თუ ეს მაშინ მისაღები იყო, ახლა არაა? საერთოდ, ეკონომიკა ყოველთვის პოლიტიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. რეალურად ექსპანსია არ იგრძნობა. საქართველოში ამას წინათ ჩამოსული იყო რუსეთის სანქციების საკითხში ევროკავშირის მთავარი ექსპერტი. ის დადებს თავის დასკვნას, არის თუ არა საქართველო იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც რუსეთს ეხმარებიან სანქციების გვერდის ავლაში (ახლახან აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ჯეიკ სალივანმა ღიად განაცხადა, რომ არ გამოვლენილა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არცერთი ფაქტი რუსეთის დახმარებისა სანქციებზე თავის არიდებაში - ლ. ხ.). ჩვენი ქვეყანა ზედმიწევნით ასრულებს ევროკავშირის მოთხოვნებს ამ მიმართებით, ანუ საქართველო არ ეხმარება რუსეთს არანაირად.

**- ექსპერტები ხელისუფლებას ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის რამდენიმე ნაბიჯს სთავაზობენ: მთავრობის შემცირებას, სასამართლოს რეალურ დამოუკიდებლობას, ინვესტიციებისთვის იდეალური გარემოს შექმნას...**

- ეს საკითხები ჩვენ მსოფლიო ეკონომიკურ ჭრილში უნდა განვიხილოთ იმიტომ, რომ ინვესტორი ფრთხილი ადამიანია, ანუ ის ფულს ისე არ დააბანდებს, რომ გათვლები არ ჰქონდეს. მაგალითად, ევროპელი და ამერიკელი ინვესტორები ითვალისწინებენ, როგორი პოლიტიკური სურათი იქნება ხვალ? რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, არა მგონია, ინსტიტუციების შემცირება მართებული იყოს. მაგალითად, თუკი შევამცირებთ ეკონომიკის და საგარეო საქმეთა სამინისტროებში 30-30 ადამიანს, ეს დიდად არაფერს მოგვიტანს. ავიღოთ ადგილობრივი მერია, რომელსაც დაახლოებით ათასი ადამიანი ჰყავს დასაქმებული თავის სტრუქტურაში, აქ უნდა გვახსოვდეს, რომ მერიაში დასაქმებულია ადამიანები ა(ა)იპებში, სანდასუფთავებაში... წყალმომარაგებაც მერიის შემადგენლობაშია და სხვა. თუ ინსტიტუციონალურ მენეჯერებს გულისხმობთ, კი, შეიძლება მერს არ ჰყავდეს ხუთი მოადგილე, ზოგიერთ თვითმმართველობაში ეს პრინციპი დაცულია.

**- თქვენი აზრით, შემოსული ინვესტიციები რამდენად სწორადაა ათვისებული?**

- პანდემიამდელ პერიოდში უცხოეთის საელჩოებში შეიქმნა „ეკონომიკური ატაშეების“ თანამდებობა. რამდენიმე დანიშნულია, როგორც ვიცი. მათ ჰქონდათ ერთადერთი დავალება - მსოფლიოსთვის კიდევ უფრო უკეთ გაეცნოთ საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი. საქართველოში შექმნილია თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, რომლებიც ძალიან დიდი დატვირთვით ვერ მუშაობს, რადგან ინვესტორისთვის არ აღმოჩნდა მიმზიდველი. აი, მაგალითად, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა შექმნილია ქობულეთში, ფიჭვნარის ტერიტორიაზე და წლებია, ვერ იქნა ათვისებული.

**- როგორი აგრარული პოლიტიკა უნდა იყოს საქართველოში?**

- აგრარული პოლიტიკა ერთ-ერთი ძალიან მტკივნეული საკითხია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს სოფლის მეურნეობაში პირდაპირი სუბსიდირების სახით სადღაც ორი მილიარდი ლარია ჩადებული, დღეს საქართველო ვერ გადაიქცა თვითკმარ სახელმწიფოდ. რა თქმა უნდა, სოფლის მეურნეობას სჭირდება ძალიან დიდი პოლიტიკის გატარება, ეს დარგი უნდა განვითარდეს თანამედროვე ეპოქის შესაბამისად.

**- ამ მხრივ რომელი სახელმწიფოს გამოცდილება გამოგვადგება?**

- სახელმწიფოს გამოცდილების პირდაპირ გადმოღება არ ივარგებს. მაგალითისთვის ისრაელის გამოცდილება ავიღოთ: მიუხედავად იმისა, რომ ეს ქვეყანა არის უდაბნო საქართველოზე პატარა ტერიტორიით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტიორია, თანაც - მოწინავე. მთავარია სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება. დღეს ჩვენთან სოფლის მეურნეობას ისე უყურებენ, როგორც საბჭოეთის დროს, არადა, დღეს ის მსოფლიოში ინოვაციური დარგია, ეს მაღალტექნოლოგიური სფეროა. ხარ-კამეჩებით დახვნა, დაბარვა და თოხნა აღარსად ხდება. თუ გვინდა სოფლის მეურნეობის განვითარება, მას უნდა შევხედოთ როგორც ინოვაციურ დარგს. ვფიქრობ, ეს საკმაოდ რთულია, მაგრამ ისევ და ისევ მიწის ხელახალი რეფორმით უნდა დაიწყოს ამ დარგის განვითარება.

**- დასაქმება მომავალში ციფრული ტექნოლოგიების გათვალისწინებით მოხდება, ამ მხრივ ჩვენი ქვეყანა რამდენად მომზადებულია?**

- ხელოვნური ინტელექტი, ციფრული ტექნოლოგიების შემოსვლა ზოგიერთი პროფესიის ადამიანების უმუშევრობას - ეგრეთ წოდებულ სტრუქტურულ უმუშევრობას განაპირობებს. 20 წლის წინათ არსებობდა მოლარის პროფესია, დღეს კი, პრაქტიკულად, აღარ არსებობს. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება ზოგიერთ პროფესიას გააქრობს. ახალი თაობა უკვე ადაპტირებულია ტექნოლოგიებთან. ვგულისხმობ 40 წლამდე თაობას - 80-90-იან წლებამდე დაბადებულები, ანუ მილენიანელები... ასევე ასპარეზზე შემოდის „ზეტ თაობა“, რომელშიც 1995 წლის შემდგომ დაბადებულები იგულისხმება.

**- რა განასხვავებს ჩვენს თაობას მათგან?**

- 90-მა პროცენტმა იცის უცხო ენა, თანამედროვე ტექნოლოგიები, გაჯეტების ფლობა, რაც ნიშნავს, რომ ჩვენ მთლიანად გადავეშვებით გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში... უკვე შევდივართ მასში.

**- არაერთი მოდელი არსებობს ეკონომიკური განვითარების კუთხით. ჩვენმა ქვეყანამ რომელი სახელმწიფოს მოდელი უნდა გაიზიაროს?**

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს მანდატი კიდევ ერთი წლით გაუხანგრძლივდება. ოფიციალური განცხადება მომავალ კვირას ვილნიუსში ნატოს სამიტამდე გაკეთდება. იენს სტოლტენბერგი 2000-2001 და 2005-2013 წლებში ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობას იკავებდა, 2014 წლის 1-ლი ოქტომბრიდან კი ნატოს გენერალური მდივნის მოვალეობებს ასრულებს. მისი მანდატი სამჯერ გახანგრძლივდა. ნატოს დიპლომატები აცხადებენ, რომ სტოლტენბერგს აქვს უნარი, კრიზისების დროს გაუმკლავდეს სამხედრო ალიანსის ხელმძღვანელობას.

* * *

ევროპარლამენტის პოზიცია ნათელია. წევრობის შესახებ მოლაპარაკებები წელსვე უნდა გაიხსნას უკრაინისთვის, - განაცხადა ევროპარლამენტის პრეზიდენტმა რობერტა მეცოლამ ევროკავშირის სამიტზე სიტყვით გამოსვლისას. „ვფიქრობ, დეკემბრის სამიტი ის დროა, როდესაც ეს გადაწყვეტილება შეიძლება მივიღოთ. მე მკაფიოდ ვამბობ, თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი გზა. როგორც კი რეფორმები გატარდება - ეს ეხება მართლმსაჯულებას, მედიის თავისუფლებას, უმცირესობას, მაშინ ჩვენ უნდა მივიღოთ ეკვივალენტური გადაწყვეტილება, - აღნიშნა მან.

* * *

საფრანგეთში პოლიციელის მიერ მოკლული 17 წლის ახალგაზრდის მიმართ სოლიდარობის გამოსახატად დაწყებულ საპროტესტო აქციებზე პოლიციასა და მომიტინგეებს შორის შეტაკებები მოხდა, მათ შორის, პარიზში, მარსელში, ლიონში, ტულუზასა და ლილიში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით სულ მცირე 421 ადამიანია დაკავებული. ხელისუფლებამ სიტუაციის გასაკონტროლებლად 40 000 სამართალდამცავი განალაგა. პოლიციელი, რომელმაც სამშაბათს დილით17 წლის ახალგაზრდას ესროლა, განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. საპროტესტო აქციები ბრიუსელშიც გაიმართა. ბელგიის დედაქალაქში პოლიციამ 15 ადამიანი დააკავა ქალაქის ცენტრში მას შემდეგ, რაც დემონსტრანტებმა სხვადასხვა ნივთს ცეცხლი წაუკიდეს.

* * *

სომხეთისა და აზერბაიჯანის პირველი დიპლომატები ვაშინგტონში, აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან ერთად გამართულ სამმხრივ მოლაპარაკებებზე, რამდენიმე საკითხზე კვლავ ვერ შეთანხმდნენ. ენტონი ბლინკენის თქმით, მომავალი სამშვიდობო შეთანხმების ზოგიერთ პუნქტზე მოილაპარაკეს, ხოლო საკამათო პუნქტებზე მხარეებს კიდევ დიდხანს მოუწევთ მუშაობა. დეტალებს რამდენიმე კვირაში სომხეთისა და აზერბაიჯანის ლიდერები ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს განიხილავენ.

* * *

„ვაგნერის“ სამხედრო ჯგუფი უკრაინაში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას აღარ მიიღებს, - განაცხადა რუსეთის პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ანდრეი კარტაპოლოვმა. მისივე თქმით, ამბოხის გამომწვევი მიზეზი იყო პრიგოჟინის უთანხმოება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის გამო - ჯგუფს ხელი მოეწერა კონტრაქტებისთვის თავდაცვის უწყებასთან, მას შემდეგ, რაც პრიგოჟინმა უარი თქვა კონტრაქტების გაფორმებაზე, მას განუცხადეს, რომ „ვაგნერი“ უკრაინაში აღარ იომებდა და სახელმწიფოსგან ფულს არ მიიღებდა.

მოამზადა
ია შველიძე

# 800 000-ზე მეტი ვიზიტორი აჭარაში და გაორმაგებული საერთაშორისო ვიზიტები

***ზაფხულის ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაშია. რა სიახლეებით შეხვდა ბათუმი სეზონს და რა პროგრამები განხორციელდება ტურიზმის მიმართულებით - ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ კოპლატაძე გვესაუბრება***

- აჭარა ზღვის სეზონს საინტერესო ტურისტული პროდუქტებით ხვდება. მოგზაურებს ბათუმის ბოტანიკურ ბაღში ზიპლაინი, კაპნისთავსა და უჩხოში - კანიონინგი, ქედა-შუახევში - სამთო ველობილიკი, ტურისტული თავშესაფრები და საპიკნიკე ინფრასტრუქტურა - ჯვარიმინდორზე, ჩირუხსა და შუამთაზე, ასევე 25-მდე მარკირებული ტურისტული მარშრუტი ელოდებათ. ტურიზმის აღდგენის დინამიკა რეგიონში უპრეცედენტოა. ტურიზმიდან და მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები 2019 წელთან შედარებით გაორმაგებულია. საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები საქართველოში 3.5 მლრდ აშშ დოლარს აღემატება. 2022 წელს შიდა და უცხოელმა ვიზიტორებმა აჭარის რეგიონში 3 909 094 ვიზიტი განახორციელეს. 2022 წელსვე სრულად აღდგა ვიზიტები და ფრენები ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში. ასევე, გაზრდილია სასტუმროების და განთავსების ობიექტების დატვირთვის კოეფიციენტი.

**- რა აქტივობებს ახორციელებს დეპარტამენტი რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით?**

- ვაგრძელებთ რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების პოპულარიზაციას სამიზნე ბაზრებზე. ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს ბათუმის საიმიჯო კამპანიები Euronews-ზე, BBC-ზე, Deutsche welle-ზე მილიონობით მაყურებლისთვის. პარალელურად, გრძელდება ონლაინმარკეტინგული კამპანიები სოციალური ქსელებით სამიზნე ქვეყნებში. 21 ქვეყანაში მივიღეთ მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში, გავმართეთ პრეზენტაციები და მასტერკლასები, B2B შეხვედრა. წლის ბოლომდე კიდევ 10-მდე მსგავსი ტიპის ღონისძიება გვაქვს დაგეგმილი. პარალელურად, ვიწვევთ საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებს და ბლოგერებს 30-მდე ქვეყნიდან, რომლებიც დაწერენ აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ, გადაიღებენ კლიპებს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ჩვენს ცნობადობას.



**- ტურიზმის რომელ მიმართულებებს თვლით ჩვენი რეგიონისთვის უფრო პერსპექტიულად?**

- ჩვენი რეგიონი უნიკალურია ტურისტული მიმართულებების სიმდიდრით. სწორედ ზღვისა და მთის კომბინაცია, დაცული ტერიტორიები, სამთო-სათხილამურო კურორტები, სოფლად - სახლები, საზღვაო კურორტები და ეკლექტიკით გამორჩეული ქალაქი ბათუმი იზიდავს ტურისტებს. მთავარ ტურისტულ მიმართულებებად რჩება ეკო და საზღვაო ტურიზმი, თუმცა, რადგან რეგიონში თითქმის ყველა ბრენდული სასტუმრო გვაქვს, იზრდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რიცხვი და ხარისხი. შეიძლება ითქვას, რომ აჭარა არის ალტერნატიული MICE ტურიზმის მიმართულება, სადაც შესაძლებელია საერთაშორისო დონის კონფერენციებისა და ღონისძიებების ჩატარება. ამის კარგი მაგალითია ტურიზმის „ოსკარის“ სახელით ცნობილი WORLD TRAVEL AWARDS-ის დაჯილდოების ცერემონია, რომელიც სწორედ ბათუმში გაიმართება 30 სექტემბერს. ეს იქნება უპრეცედენტო მასშტაბის ღონისძიება, რომელიც ოდესმე ბათუმში ჩატარებულა ტურიზმის მიმართულებით. ჩვენი მთავარი მესიჯია, რომ აჭარა არის 4 სეზონის უსაფრთხო მიმართულება.

**- სპორტული ტურიზმის მიმართულებით რა სიახლეებია?**

- აქტუალობას იძენს სპორტული ტურიზმი, რადგან ქალაქს შეემატა საერთაშორისო დონის, FIFA-ს სტანდარტების სტადიონი, რომელმაც მაიამიში, ოსკარად წოდებულ უძრავი ქონების მსოფლიო დაჯილდოებაზე საჯარო ინფრასტრუქტურის საერთაშორისო ჯილდო მოიპოვა. ყველა მუნიციპალიტეტში შენდება სპორტული ცენტრები, მოედნები, განთავსების ადგილები. შედეგი უკვე გვაქვს: ფეხბურთის 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი, ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონატი (18-წლამდელთა), ქალთა შორის ხმლით ფარიკაობაში მსოფლიო თასის გათამაშება და სხვა სპორტული მსოფლიო დონის ღონისძიებები სწორედ ბათუმში ტარდება და ეს ტენდენცია გაგრძელდება. სპორტული ტურიზმი მომავალში შეიძლება იქცეს დიდ კონტრიბუციად ქვეყნის ბიუჯეტში.

**- ბაზრების დივერსიფიკაციის კუთხით რა ხდება?**

- ბაზრების დივერსიფიკაცია ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. გარდა ტრადიციული სამიზნე ბაზრებისა, როგორიც არის ისრაელი, ყაზახეთი, პოლონეთი და ა.შ. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, ინფორმაცია შევიტანოთ აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტებით გამორჩეულ იმ ქვეყნებში, რომლებსაც აინტერესებთ ის ავთენტური გარემო, სამზარეულო, ტრადიციები, ღვინო და ემოციები, რასაც ჩვენ ვთავაზობთ ტურისტებს. ასეთია სკანდინავიის ქვეყნები. მათი დაინტერესების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაიზრდება ტურიზმიდან შემოსავლები. ასევე, ღონისძიებებს ვატარებთ იმ ქვეყნებში, საიდანაც ფრენებია ქუთაისში. ეს არის ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთი. მაქსიმალურად ვცდილობთ, გამოვიყენოთ შანსი და მოვიზიდოთ მეტი ევროპელი ტურისტი.

**- პანდემიის შემდეგ რეგიონი ტურისტთა მზარდი სტატისტიკით გამოირჩევა...**

- დიახ, რეგიონში ვიზიტების რაოდენობა 800 000-ს აღემატება. თითქმის გაორმაგებულია საერთაშორისო ვიზიტები ( +93 %), 20%-ით გაზრდილია შიდა ვიზიტებიც. პირველი კვარტალის მონაცემებით, გაორმაგებულია ქვეყანაში ტურიზმიდან და მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლები (+102 %). გაზრდილია მიმართულებების და საერთაშორისო ფრენების რაოდენობა ბათუმის აეროპორტშიც. ფრენები განაახლა Fly dubai-მ (კვირაში 4 სიხშირით). ივნისში საერთაშორისო მიმართულებებით ფრენების რაოდენობამ 12 ქვეყანაში 360 შეადგინა, რაც გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით 42 %-ითაა გაზრდილი.

> ***,, მაქსიმალურად ვცდილობთ, ინფორმაცია შევიტანოთ აჭარის ტურისტული პოტენციალის შესახებ მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტებით გამორჩეულ იმ ქვეყნებში, რომლებსაც აინტერესებთ ის ავთენტური გარემო, სამზარეულო, ტრადიციები, ღვინო და ემოციები, რასაც ჩვენ ვთავაზობთ ტურისტებს. ასეთია სკანდინავიის ქვეყნები. მათი დაინტერესების შემთხვევაში, კიდევ უფრო გაიზრდება ტურიზმიდან შემოსავლები***

**წარსულის ექო**

# 1937 წელს დახვრეტილი რეპრესირებულის ნეშტი ოჯახს გადასცეს

***დახვრეტიდან 86 წლის შემდეგ, გონიოში პირველი რეპრესირებული დაკრძალეს, ვისი იდენტიფიცირებაც მოხდა - ხასან დიშლიოღლის ნეშტი ხელვაჩაურში, მესამე სამხედრო ბაზაზე აღმოჩენილ საერთო სამარხში იპოვეს.***

ოფიციალური დოკუმენტებით, ხასან დიშლიოღლი 1937 წლის დეკემბერში დააპატიმრეს. მას ე.წ. ტროიკამ დახვრეტა მიუსაჯა. განაჩენი იმავე წლის 27 დეკემბერს მოიყვანეს სისრულეში.

- ჩემი მამამთილი ხასან იაკობის ძე დიშლიოღლი 1904 წელს თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ხოფაში დაიბადა. წარმოშობით ლაზი იყო. თუ არ ვცდები, მისი წინაპრები სენაკიდან იყვნენ და შემდეგ ხოფაში დამკვიდრდნენ. ჰყავდა უფროსი და, რომელიც ბათუმში, გონიოში გადმოვიდა საცხოვრებლად და უმცროსი ძმაც წამოიყვანა. წლების შემდეგ კონტრაბანდას ეწეოდა და საზღვარზე სხვადასხვა პროდუქცია გადმოჰქონდა, რის გამოც დააპატიმრეს, სასჯელს ურალის ციხეში იხდიდა. იქ ჩემი დედამთილი - ნატალია გაიცნო, რომელიც განათლებული, უმაღლესდამთავრებული ქალი გახლდათ. მალევე იქორწინეს. როცა დახვრიტეს, უკვე 2 შვილი ჰყავდათ და დედამთილი მესამეზე იყო ორსულად. პირველი შვილი ჩემი მეუღლე გახლდათ. ბაბუის სახელი ერქვა - იაკობი. მეორე შვილს - ფატი, მესამეს მერიემი დაარქვეს. ძალიან ავიწროებდნენ გონიოში და ქისტის ოჯახად იყვნენ გამოცხადებული. იმ დროს ერთ-ერთ რუს გენერალს უსწავლებია: ნატალია ნიკალაევნა, ბავშვები შენს გვარზე გადაიყვანეო და მას მერე ხასან დიშლიოღლის შთამომავლები კუზნეცოვები გახდნენ. ნეშტს გულზე 3 ნატყვიარი ჰქონდა (სურათზე ჩანს). რის გამო დახვრიტეს, ამასაც გეტყვით. მაღაზიაში კალოშები მიუღიათ, მას და მის ოჯახს არ მოსწევია, გაბრაზებულა და უთქვამს, ვინც უსაქმურად დგას და არაფერს აკეთებს, ყველაფერი მათ ერგებათ, ვინც ვმუშაობთ, ჩვენ - არაფერიო, მაგრამ რას ვნერვიულობ, გადავალ ხვალ თურქეთში და ერთ ვაგონ ლაკის ტუფლებს ჩამოვუტან ჩემს ცოლ-შვილსო. არავის ჩაუშვია ჩემი მამამთილი, იმ მომენტში იქ მდგარა კომენდანტი გვარად დოლიძე, რომელსაც ეს ყველაფერი გაუგონია. მეორე დღეს სახლის სახურავის ფული მიჰქონდა მოხელეებთან გადასახდელად, როცა გონიოს ციხესიმაგრესთან „ვინტოვკიანი“ სამხედროები დახვდნენ. ხასან დიშლიოღლის ვეძებთო. მე ვარო, უთქვამს და აიყვანეს. 1937 წლის 27 დეკემბერს ჭოროხისპირზე 33 წლის ასაკში დახვრიტეს და ორმოში ჩააგდეს. ჩემი მეუღლე მთელი სიცოცხლის განმავლობაში მამის ნეშტს ეძებდა. სამარხების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ გაგვიჩნდა სურვილი, რომ ნეშტის იდენტიფიცირება მომხდარიყო, ოჯახის წევრებს დნმ-ის კვლევები ჩაუტარდათ და დადასტურების შემდეგ ნეშტის ოჯახისთვის გადმოცემა ვითხოვეთ. ჩემი მეუღლე, სამწუხაროდ, ამას ვერ მოესწრო, 2 წლის წინ გარდაიცვალა, - გვითხრა ხასან დიშლიოღლის რძალმა ეთერ ბერიძე-კუზნეცოვამ.

ბოლშევიკური რეპრესიების დროს დახვრეტილთა მე-5 სამარხი „საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაციის“ დახმარებით და ამერიკელი ექსპერტების ჩართულობით, 2021 წელს შეისწავლეს. ნეშტების





სასამართლო ანთროპოლოგიური და მოლეკულურ-გენეტიკური კვლევა ერთი წელი გაგრძელდა. 2022 წლის ივლისში კი აჭარაში უდანაშაულოდ დახვრეტილი 3 მოქალაქის მემკვიდრეებმა შეიტყვეს, რომ მათი წინაპარი იპოვეს. იდენტიფიცირების შემდეგ სასამართლო პროცესი გაიმართა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, უდანაშაულოდ დახვრეტილი ხასან დიშლიოღლის ნეშტი ოჯახს გადაეცა. იგი მისმა ოჯახმა გონიოში, საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალა.

**გვერდი მოამზადა მარიამ ხითარიშვილმა**

# ჩირუხს მზრუნველი ხელი არ აკლია

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***აჭარა-შავშეთის ქედის ერთ განშტოებაზეა განფენილი მთა ჩირუხი. აქ ზაფხულს შუახევისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების მარეთისა და მაჭახლის ხეობების, ძირითადად კი შუბნის, ოლადაურის, დღვანის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების მეცხოველეები ატარებენ***

- ამ მთაში 50 წელზე მეტია დავდივარ და კარგად ვიცი, რომელი მდელოა უკეთესი, სად უნდა ბალახობდეს პირუტყვი. ის დროც მახსოვს, როცა ყველა მთის სახლი ცოცხლდებოდა, აქ აძოვებდნენ ტბეთის, დღვანის, შუბნის, ოლადაურის მეცხოველეობის კომპლექსებში არსებულ პირუტყვს. ახლა რიგ ტერიტორიებზე პირუტყვი საბალახოდ საერთოდ აღარ გადის. ჯინალში მეტწილად უჩამბის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში მცხოვრებლები ამოვდივართ. ადრე თუ 120-130 მთის სახლის კარი იღებოდა, წელს მხოლოდ 28 სახლს ამოაკითხეს მეპატრონეებმა. მე ადრინდელი პირობებიც კარგად მახსოვს და ახლანდელიც ვიცი. ჩირუხის ბანაკიდან ჯინალში მოსვლამდე ისეთი საავტომობილო გზა იყო, რომ ჭაობებში მაღალი გამავლობის მანქანებიც ეფლობოდნენ. ახლა ყველა მარკის ტრანსპორტით გადაადგილებაა შესაძლებელი. დენი ადრე სხალთის ხეობის გავლით მოგვეწოდებოდა. ახლა შუბნიდან მთამდე ლითონის ანძები დააყენეს. ავარიული გამორთვები მინიმუმამდეა შემცირებული, - აღნიშნა სპეციალობით ვეტერინარმა თემურ გოჩიტიძემ, როცა ჯინალში მყოფი მეცხოველეების შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გასაცნობად მთაში შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, აჭარის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატი ფრიდონ ფუტკარაძე, შუბნელთა მაჟორიტარი შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრიდონ ვლადიმერის ძე ფუტკარაძე მივიდნენ.

ჩირუხს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მზრუნველობა რომ არ აკლია, ამას კარგად მოვლილი საავტომობილო გზაც ცხადყოფს, რომელიც ამ მთაში შედის. როგორც მეცხოველეებმა აღნიშნეს, სამი დღის განმავლობაში ოთხი ერთეული ტექნიკა მუშაობდა ზამთრის ნარჩენებისგან ცალკეული მონაკვეთების გასაწმენდად და გზის მოსაშანდაკებლად. წლევანდელი ხანგრძლივი და კოკისპირული წვიმების მიუხედავად, გზები მოწესრიგებულია.

ჩირუხი, აქ არსებული ცალკეული უბნები (ჯინალი, დღვანის, ოლადაურის იაილები, ძველთა) მარტო პირუტყვის საძოვრები და მეცხოველეთა ნავსაყუდელი აღარ იქნება. 10 მილიონამდე ლარია ტურისტული სააგენტოების მიერ მობილიზებული არსებული ტურისტული პოტენციალის ქვეყნისა და რეგიონის მოსახლეობის სამსახურში ჩასაყენებლად. კონკურსში გამარჯვებული კომპანია მალე დაიწყებს ქვეყანაში ყველაზე გრძელი, ორზოლიანი «ზიპლაინის» მშენებლობას.

შუახევის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებია მობილიზებული გასართობი ცენტრისა და სპორტული მოედნის მოსაწყობად.

მთაში მშენებლობის ბუმია. ადგილზე მყოფი მოსახლეობა, მარეთის ხეობიდან ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და რეგიონში გადასული ბიზნესმენები, შემოქმედებითი დარგის მუშაკები კოტეჯებს აშენებენ. ჯინალში ერთ დროს გურიაში გადასულ გურგენიძეებს შესანიშნავი კოტეჯები აუგიათ. «ოლიგარქების» უბანი შეურქმევიათ იმ ტერიტორიისთვის, სადაც შუბანში მცხოვრები და აქედან გადასული ჯუმუშაძეების გვარის წარმომადგენლებს თანამედროვე კოტეჯები დაუდგამთ.

- სოფელ დარჩიძეებიდან ავიდგი ფეხი. ვიყავი შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, წლების განმავლობაში აჭარის უმაღლესი საბჭოს აპარატში ვსაქმიანობდი. ახლა თბილისში ვცხოვრობ და ვმუშაობ. სულ სხვაა მშობლიური კუთხის სიყვარული. ამიტომაც დავიწყე მთა ჩირუხში კოტეჯების მშენებლობა. იმედია, წელსვე შევძლებთ აქ დასვენებას მე და ჩემი მეგობრები, - გვითხრა კახა ცეცხლაძემ.

ჯინალში მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრა თითქმის მთელი დღე გაგრძელდა. მთაში მცხოვრებთ პრობლემები ყოველთვის ჰქონდათ და ახლაც ასეა. მთავარი ისაა, რომ ამ პრობლემებთან ჭიდილში მარტონი არ არიან. მათ ხელისუფლების, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლები ეხმარებიან.

- შარშან 3 კილომეტრიდან წყაროს წყალი გამოვიყვანეთ, - თქვა სოფელ გორში მცხოვრებმა გურამ ფუტკარაძემ, - მილები შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხით შევიძინეთ. ადგილზე წყლის დებეტი საკმაოა, მაგრამ 25 მმ დიამეტრის მილებით გამოყვანილი წყალი ოჯახების მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებს.

პრობლემა მერმა ომარ ტაკიძემ ყურად იღო და მილების შეძენას შეგვპირდა.

მწყემსებმა დაიჩივლეს, ნადირი, განსაკუთრებით მგლები, დღისით, მზისით საძოვარზე გასულ პირუტყვს თავს ესხმიან და მეპატრონეებს დიდ ზარალში აგდებენო.

მთა ჩირუხის სიახლოვეს საქართველო-თურქეთის საზღვრის მნიშვნელოვანი მონაკვეთი გადის. ჩირუხში მყოფი მეცხოველეები ქვეყნის საზღვრის ღირსეული დამცველები იყვნენ და ახლაც ასეა. მათ მესაზღვრეებთან ერთად, რამდენიმე ბოროტმოქმედს, საზღვრის დამრღვევს თვითნებობისა და თარეშის საშუალება არ მისცეს. მოსახლეობის თანადგომაზე ბევრი კარგი სიტყვა თქვეს იმ მესაზღვრეებმა და ოფიცრებმა, რომლებიც მთაში მყოფ ადგილობრივ ხელმძღვანელებს შეხვდნენ.

მწყემსის ვალია, პირუტყვს უპატრონოს, მაგრამ კიდევ უფრო შრომატევადი, რთული საქმე აკისრია მემთეურს, ანუ იმ პირს, რომელმაც მეცხოველეობის პროდუქტები უნდა დაამზადოს. მათი სამუშაო დილაუთენია იწყება და გვიან საღამოს მთავრდება.

> „მემთეურის საქმე დედამთილმა გადმომილოცა, მაგრამ ჩემგან ამ საქმეს ვინ ჩაიბარებს, აღარ ვიცი. კარგია, მთაში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი კოტეჯები რომ შენდება, მაგრამ გულსატკენია, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგი ადრინდელ დონეს რომ ვეღარ აღწევს. სოფელი, მემთეურობის ტრადიცია თუ მიივიწყეს, საწყენი იქნება

გურამ ფუტკარაძე ტომაშეთის საჯარო სკოლის დირექტორია, მისი მეუღლე აიგულ ფუტკარაძე 3 შვილის გამზრდელი დედა. ოჯახის დიასახლისობას მემთეურის საპატიო საქმესაც უთავსებს. ჩირუხის მთაში 5 ფური ჰყავს.

- ოჯახს, ოჯახიდან გასულ შვილებს მეცხოველეობის პროდუქტებით ვამარაგებ. მემთეურის საქმე დედამთილმა გადმომილოცა, მაგრამ ჩემგან ამ საქმეს ვინ ჩაიბარებს, აღარ ვიცი. კარგია, მთაში თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი კოტეჯები რომ შენდება, მაგრამ გულსატკენია, ტრადიციული სოფლის მეურნეობის დარგი ადრინდელ დონეს რომ ვეღარ აღწევს. სოფელი, მემთეურობის ტრადიცია თუ მიივიწყეს, საწყენი იქნება, - თქვა აიგულ ფუტკარაძემ.

შეხვედრების დასრულების შემდეგ კომენტარი ომარ ტაკიძეს ვთხოვეთ.

- ჩირუხში მოსახლეობამ პირუტყვის გადმორეკვა, წინა წლებთან შედარებით, 10-15 დღის დაგვიანებით დაიწყო. ეს მთა თავისი ტერიტორიით, თუნდაც მეცხოველეთა რაოდენობით, მუნიციპალიტეტში ყველაზე დიდია. მემთეურისთვის წვიმა, ქარიშხალი თუ მცხუნვარე მზე არ არსებობს - პირუტყვი, მისგან მიღებული პროდუქცია დაყოვნებას ვერ ჰგუობს. ასეთ მკაცრ პირობებში მომუშავე ადამიანებს ჩვენგან ხელშეწყობა უნდა ჰქონდეთ. მთავარი მაინც გზა, დენი და წყალმომარაგებაა. იყო დრო, როცა 60-70 ოჯახი ერთი წყაროთი სარგებლობდა. ახლა თითქმის უმრავლესობას ეზოში, თუნდაც სახლში, წყაროს წყლები აქვთ. ბიუჯეტს საკმაო თანხა დაუჯდა შუბანი-ჩირუხის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა. ერთ სიკეთეს მეორე მოვაყოლეთ და ახლა შიდა ქსელის მოწესრიგება მიმდინარეობს. პრობლემა იყო მობილური ტელეფონით სარგებლობა. რამდენიმე ადგილას მიმღებ-გადამცემი ანძები დაიდგა, «ჯეოსელის», «მაგთის» და «ბილაინის» კომპანიების ხელმძღვანელები კიდევ გვპირდებიან მათ დადგმას. მალე დასრულდება გასართობი ცენტრის და სპორტული მოედნის მშენებლობა. ადრე მთაში მყოფთა შეშით მომარაგებაში პრობლემები იყო. სატყეო ადმინისტრაციამ ეს საკითხიც მოაგვარა. ცხოვრება, შრომა პრობლემის გარეშე არ არსებობს, თუმცა მათი დაძლევის გზებიც ყოველთვის გამოინახება.





# „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არავითარი მოლაპარაკება ამ საკითხზე არ მიმდინარეობს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მმართველ გუნდს არანაირი დახურული დღის წესრიგი არ აქვს.

„მინდა განმარტება გავაკეთო იმიტომ, რომ ეს დღეები მორიგი მცდელობა იყო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის. საუბარი იყო, თითქოს აფხაზეთის რკინიგზასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ფარული მოლაპარაკებები და ასე შემდეგ. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: არავითარი მოლაპარაკება ამ საკითხზე არ მიმდინარეობს. ჩვენ არანაირი დახურული დღის წესრიგი არ გვაქვს, თუ რამე საკითხზე გვაქვს საუბარი, ამაზე ყველამ ყველაფერი იცის როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, ასე რომ, აქ კითხვები არ არსებობს“, - განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა უპასუხოდ არც დასმული შეკითხვები დატოვა: „კითხვა დამისვეს, რა შემთხვევაში შეიძლება გახდეს შესაძლებელი აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა? ამაზე ერთადერთი პასუხი არსებობს - ჩვენი ქვეყნის გაერთიანების შემთხვევაში მხოლოდ.

კითხვა დაისვა ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხედვა აქვს ჩვენს ქვეყანას აფხაზეთთან მიმართებაში. ჩვენს ხელისუფლებას ქვეყანა სტრატეგიული მოთმინებით, პრაგმატული, გონივრული პოლიტიკით მიჰყავს გაერთიანებისკენ. ყოველი ჩვენი დღე, გააზრებული ნაბიჯი, მიზანი გვაახლოებს ამ დიდ საერთო ეროვნულ მიზანთან. ეს უნდა იყოს ჩვენი საერთო ეროვნული მიზანი და არა გაუგებარი თემები, რომლებიც არავის აინტერესებს.

მიმაჩნია, რომ ეს არის შესაძლებლობა როგორც აფხაზებისთვის, ასევე ოსებისთვის, მთლიანი ქვეყნისთვის, რომ საერთოდ სხვა ქვეყანა მივიღოთ. ჩვენი ქვეყანა სრულად შეიცვლება გამთლიანების შემთხვევაში, შეიძლება სამოთხედ იქცეს ეს ადგილი და აქ მილიარდი დოლარის ინვესტიცია შემოვა, როგორც კი ქვეყანა გამთლიანდება და ოკუპაცია დასრულდება. ჩვენ ყველანი ამაზე ფიქრით უნდა ვიძინებდეთ და ვიღვიძებდეთ, მათ შორის ოპოზიციაც“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**ამირან გურიელიძე**

აჭარა 102



# მენტორი მასწავლებელი – ძმაგულადან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ხულოს მენტორ მასწავლებელთა რიგებს კიდევ ერთი შეემატა. ეს საპატიო სტატუსი ძმაგულას საჯარო სკოლის დირექტორმა მალხაზ მახარაძემ დაიმსახურა. იგი ჩვენი სტუმარია.*

**- ბატონო მალხაზ, რა არის საჭირო მიზნის მისაღწევად?**

- თუ მიზანი არ არსებობს, არაფერს აკეთებ და ვერც გააკეთებ. მიზანს რომ მიაღწიო, უნდა იმოძრაო. ყოველთვის ვცდილობ, საკუთარი მიღწევების შეფასებისას ვიყო ობიექტური. მიღწეულით იშვიათად ვკმაყოფილდები.

**- არჩეულ პროფესიას მოწოდებად მიიჩნევთ თუ მოვალეობად?**

- საქმის სიყვარული იგივე პროფესიის ერთგულებად მიმაჩნია, მოწოდებით პედაგოგი ვარ და სხვა სპეციალობა ჩემთვის მიუღებელია.

**- სოფელ ძმაგულას დიდი ისტორია აქვს...**

- ჩემი მშობლიური სოფლის - ძმაგულას სახელი და სოფელში არსებული ტოპონიმები ნამდვილად მრავლისმთქმელია. სკოლაში დაგეგმილი და ჩატარებული აქტივობები ხშირ შემთხვევაში, ძმაგულას ისტორიას, გეოგრაფიას, ტრადიციებს, დღეს მიმდინარე პროცესებს და მის მომავალს უკავშირდება. სამწუხაროდ, დემოგრაფიულმა პრობლემებმა და მიგრაციამ სერიოზულად შეამცირა სოფლის მოსახლეობა და მოსწავლეთა კონტინგენტი სკოლაში, მაგრამ აქ დარჩენილებს მამაპაპისეული მამულის მოვლა-პატრონობა გვაერთიანებს, ერთმანეთის თანადგომა და გამხნევება გვაძლიერებს.

**- სკოლის დირექტორი და მათემატიკის მასწავლებელი პოლიტიკურ სარბიელზეც იყავით, მაგრამ ისევ სკოლა არჩიეთ. მიზიდულობის რა ძალა აქვს განათლების კერას?**

- ჩვენს სკოლაში, ძმაგულაში მცხოვრები ბავშვების გარდა, სწავლობენ ხულოს რაიონის სხვა სოფლებიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან ჩამოსული მოსწავლეებიც. ისინი დარწმუნებული არიან, რომ აქ მიიღებენ ხარისხიან განათლებას, რაც მათი წარმატებების საწინდარი იქნება. შესაბამისად, მათი მიღწევები ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის და მახარებს. სკოლის სიყვარულით სამუშაო დღეს გვიან ვამთავრებ, თუკი მნიშვნელოვანი, სასკოლო ცხოვრების საქმით ვარ დაკავებული.

**- სოფელმა და საზოგადოებამ დაგიფასათ, შორეულ ძმაგულაში სამსაფეხურიანი საჯარო სკოლის გახსნაზე რომ იზრუნეთ.**

- 1989 წელს დავასრულე ძმაგულას არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი. სწავლა ყინჩაურის (დღეს სხალთის ) საშუალო სკოლაში გავაგრძელე, რომელიც ჩვენი სოფლიდან 7 კილომეტრით არის დაშორებული. დარში, ავდარში, ყინვაში მიწევდა ამ გზის ფეხით გავლა, მით უმეტეს, რომ გზა საფრთხის შემცველიც იყო. სირთულეების გამო, სამწუხაროდ, ბევრმა ჩემმა თანატოლმა ვეღარ შეძლო სწავლის გაგრძელება. მას შემდეგ, რაც მასწავლებლად დავიწყე მუშაობა ძმაგულას არასრულ საშუალო სკოლაში, ეს იყო 1995 წელი, სურვილი გამიჩნდა, ჩვენს სკოლას დამატებოდა სწავლების საშუალო საფეხური. ვითანამშრომლე სკოლის და სოფლის თემთან. საქმეში ჩავრიეთ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, განათლების სამინისტრო. შენობაც შესაბამისად გადაკეთდა და 2010 წელს სკოლას დაემატა საშუალო საფეხური. დღეს რომ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს რეპეტიტორების გარეშე, თითოეული პედაგოგის დამსახურებაა. ეს ჩვენი სკოლის მასწავლებლების მთავარი მიღწევაა.

**- თქვენ გარდა, კიდევ ვისი წვლილია ამ საშვილიშვილო საქმეში?**

- ჩვენმა მუშაობამ სოფლის თემსა და სკოლაში გაზარდა ინტერესი, რომ სკოლის ახალი შენობა (სანამ საშუალო საფეხური დაემატებოდა) აგვეშენებინა სოფლის ცენტრში, ულამაზეს ადგილას, ნოდარ მუშამბაძის, როსტომ ასლანიძის და



ბეჟან მახარაძის საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე. შემდეგ საშუალო საფეხურის დამატების სურვილმა და მონდომებამ შედეგი გამოიღო. ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარე მიხეილ მახარაძესა და ამავე უწყების აპარატის ხელმძღვანელ აბესალომ ასლანიძეს. მთელი სოფელი იყო ჩართული პროცესში. ყველა ცდილობდა, რალაც კუთხით დაგვხმარებოდა. საჭირო გახდა სკოლის შენობისთვის ოთხი საკლასო ოთახის დამატება. ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, სულ მოკლე დროში სოფლის ოსტატებმა ააშენეს ოთახები. თითოეული ადამიანის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა სკოლის ისტორიაში.

**- რაა მთავარი, რომ ქვეყნის განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები წარმატებული იყოს?**

- სკოლა უნივერსალური ნამდვილად ვერ იქნება, თუმცა მასთან მიახლოების მცდელობა ყოველთვის უნდა იყოს. განათლების სისტემა მოსწავლისთვის საინტერესო, მის საჭიროებებზე მორგებული, მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვასა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული უნდა იყოს. მოსწავლემ სკოლაში უნდა მიიღოს ხარისხიანი განათლება, უნდა ფლობდეს 21-ე საუკუნისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, უნდა იყოს პატრიოტი.

**- რამ განაპირობა, რომ პროფესიად პედაგოგობა აირჩიეთ?**

- ძმაგულას 8-წლიან სკოლაში ძალიან კარგი მასწავლებლები და სკოლის დირექტორი მყავდა, რომლებიც გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდნენ სკოლაში, სოფელში, მთელ სხალთის ხეობაში. ბავშვობიდანვე მქონდა მათი მიბაძვის სურვილი, მინდოდა, მათსავით სანაქებო მასწავლებელი ვყოფილიყავი...

**- 3 შვილის მამა, რამდენად მომთხოვნი... მიმტევებელი და ობიექტური ხართ მოსწავლეებთან ურთიერთობაში?**

- თუ გინდა კარგი მასწავლებლის სახელი გქონდეს, მიმტევებელიც უნდა იყო და ობიექტურიც, პასუხისმგებლობით ასრულებდე შენს პროფესიულ საქმიანობას.

**- კლასიდან კმაყოფილი როდის გამოდიხართ?**

- თუ მასწავლებელი მოსწავლეს შესთავაზებს საინტერესო, მის განვითარებასა და საჭიროებებზე მორგებულ მრავალფეროვან გაკვეთილს, ამ შემთხვევაში, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია მაღალია. შესაბამისად, ღებულობს მისთვის ღირებულ ცოდნას, გამოიმუშავებს საჭირო უნარებს, მიღწეული შედეგით კი მასწავლებელიც კმაყოფილი რჩება.

**- თუ გაიხსენებთ შემთხვევას, როცა დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა მომდევნო დღისთვის გადადეთ?**

- მოსწავლე დასმულ კითხვაზე პასუხს დროულად უნდა იღებდეს, რომ საკითხისადმი ინტერესი არ დაკარგოს. ყოფილა შემთხვევა, მოსწავლეს დაუსვამს შეკითხვა, რომელზეც დავფიქრებულვარ და პასუხი სხვა დროს გამიცია.

**- სკოლაში ახალბედა პედაგოგები გყავთ შორეული იმერეთიდან. მათი და სხვების პროფესიული დაოსტატებისთვის რას აკეთებთ?**

- ჩვენი სკოლის ახალბედა პედაგოგები გამოირჩევიან მაღალი პასუხისმგებლობით, თანამშრომლობენ გამოცდილ პედაგოგებთან, იზიარებენ მათ ცოდნას და გამოცდილებას, ერთმანეთის მიმართ არიან კრიტიკული მეგობრები, ერთმანეთს აძლევენ კონსტრუქციულ რჩევებს. ისტორიაში გვყავს ერთი წლის სტაჟის მქონე მასწავლებელი ქეთევან ტალახაძე (არის თბილისის თსუ-ის კურსდამთავრებული), ძალიან განათლებული, პოზიტიური და ღირებულებებით აღსავსე პედაგოგი, რომელმაც დაუკავშირა ერთმანეთს იმერეთისა და აჭარის მაღალმთიანეთში არსებული ტრადიციები, მოიპოვა მოსწავლეებში, მასწავლებლებსა და სოფლის თემში კარგი ავტორიტეტი.

**- გამოცდილების გაზიარების მიზნით, უცხოეთის რომელ ქვეყანაში ისურვებდით მივლინებას?**

- ნებისმიერში, თუ იქ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დადებითად აისახება ჩემს პროფესიულ ზრდაზე და ამით მოსწავლეები სარგებელს ნახავენ, ცოდნას გაიღრმავებენ.

**- ლექსებსაც წერთ...**

- გარითმული წინადადების წარმოთქმა არ მიჭირს, ლექსების წერა კი ბავშვობიდან დავიწყე.

**- პოეზიას ბოლომდე რატომ არ უერთგულეთ?**

- სხვა საქმეებმა იმდენად დიდი დრო წამართვა, რომ მუზა ნაკლებად მომდის. ასაკის მატებასთან ერთად, ცხოვრებისადმი შეხედულებებიც იცვლება. ზოგჯერ ვფიქრობ, რაღაცის დაწყება ხომ არ დამაგვიანე-მეთქი, მაგრამ ვთვლი, რომ ყველაფერს დრო და შესაძლებლობები განსაზღვრავს.

> *„სკოლა უნივერსალური ნამდვილად ვერ იქნება, თუმცა მასთან მიახლოების მცდელობა ყოველთვის უნდა იყოს. განათლების სისტემა მოსწავლისთვის საინტერესო, მის საჭიროებებზე მორგებული, მრავალფეროვანი მეთოდების დანერგვასა და დემოკრატიული ღირებულებების ჩამოყალიბებაზე ორიენტირებული უნდა იყოს*

# მატარებლების მოძრაობა აღდგა

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ რკინიგზაზე მატარებლების მოძრაობა რამდენიმე საათის განმავლობაში შეფერხებული იყო. „საქართველოს რკინიგზის“ განმარტებით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბაბის მიმდებარედ ძლიერი წვიმის გამო სანიაღვრე ჭებიდან გადმოსულმა უხვმა წყალმა ლიანდაგები დატბორა, სტიქიამ ასევე გამოიწვია ლიანდაგების მიმდებარედ ნიადაგის ჩამოშლა, რის გამოც ზუგდიდი-თბილისისა და ბათუმი-თბილისის მიმართულებით მატარებლები ვერ მოძრაობდა.

როგორც „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, მატარებლებმა ზემოაღნიშნული მიმართულებებით მოძრაობა განაახლეს, თუმცა რკინიგზა არ გამორიცხავს, რომ უამინდობის გამო შეფერხება იყოს გზის სხვა მონაკვეთებზე.

„ძვირფასო მგზავრებო, ბათუმი-თბილისისა და ზუგდიდი-თბილისის მიმართულებით მოძრავი მატარებლები დაიძრნენ. უამინდობის გამო შესაძლოა, შეფერხება იყოს გზის სხვა მონაკვეთებზეც. დამატებით გაწვდით ინფორმაციას, რომ წიფას მოლითის გადასარბენზე იგივე მდგომარეობა იყო. ბრიგადები საგა-




ნგებო რეჟიმში მუშაობდნენ. კომპანიის თანამშრომლები სრულად მობილიზებულები არიან. მიუხედავად იმისა, რომ შეფერხებები „საქართველოს რკინიგზისგან“ დამოუკიდებელი მიზეზებით იყო გამოწვეული, მგზავრებს სრულად აუნაზღაურდებათ მგზავრობის საფასური“, - აღნიშნულია განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

# პროექტის წარდგინება

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

*ქედაში წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და წყალარინების სისტემის მშენებლობის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო წარდგინება-განხილვა მოეწყო*

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, მერიის თანამშრომლები, საკრებულოს წევრები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საჯარო განხილვა ღია ფორმატში გაიმართა. მონაწილეებმა ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის და წყალარინების სისტემის მშენებლობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები გამოთქვეს.

პროგრამა აჭარაში გერმანია-საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში და ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.



# პოლონეთი... ბირთვულ პროგრამაში?

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეუშ მორავეცკიმ ბრიუსელში ევროპული საბჭოს სამიტის შემდეგ განაცხადა, რომ პოლონეთს თავის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის განთავსება სურს.

მისი თქმით, პოლონეთს სურვილი აქვს, ნატოს ქვეყნებს შორის ბირთვული გაცვლის პროგრამას შეუერთდეს იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ბირთვული იარაღის განთავსებას ბელარუსის ტერიტორიაზე აპირებს.

„საბოლოო გადაწყვეტილება ჩვენს ამერიკელ, ნატოს პარტნიორებზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ ჩვენი ნების შესახებ ვაცხადებთ, ამ საკითხში სწრაფად ვიმოქმედოთ. არ ვაპირებთ მშვიდად ყოფნას, ვიდრე პუტინი სხვადასხვა სახის საფრთხეს ამწვავებს“, - აღნიშნა მორავეცკიმ.



ამირან გურიელიძე

# საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ინფორმაციით...




***საქართველოში ყველაზე დიდი თბოსადგურის მშენებლობისთვის წინადადებების წარმოდგენაზე მოწვევა ცხადდება***

ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და საიმედოობის გაზრდის მიზნით, გარდაბნის მუნიციპალიტეტში 350-430 მგვტ დადგმული სიმძლავრის კომბინირებული ციკლის მაღალეფექტური თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის, რომელიც გარანტირებული სიმძლავრის წყაროდ განიხილება, წინადადებების წარმოდგენაზე მოწვევა ცხადდება.

„თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი განხორციელდება საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) ფორმატში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული პროცედურის შედეგად გამოვლინდება კერძო ინვესტორი, რომელიც შეასრულებს მშენებლობასა და სადგურის ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს თბოსადგურის შემდგომში ოპერირებით.

ინვესტორზე შესაბამისი პირობებით გასხვისდება საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის კუთვნილი 100%-იანი წილი გარდაბნის თბოსადგურ 3-ში, რომლის ღირებულება 2 450 000 აშშ დოლარს შეადგენს. თბოსადგური, საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის მხრიდან წარმოდგენილი და ენერგოსისტემის საჭიროებებიდან გამომდინარე შექმნილი მოთხოვნების (მოქნილი ოპერირების უნარი და სხვა) დაცვით აშენდება. პროექტის განხორციელების (მ.შ. - მშენებლობა და ექსპლუატაციაში მიღება) ვადად კი წილის ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან, არაუგვიანეს, 4 წელი განისაზღვრება.

მოგეხსენებათ, ინვესტორის შესარჩევად წინადადებების წარმოდგენაზე მოწვევის გამოცხადება, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას, მიმდინარე წლის 29 მაისს, მთავრობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შედეგად დაევალა. სწორედ ამ მიზნით, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც ნავთობისა და გაზის კორპორაციის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს გარდაბნის თბოსადგური 3-ისა და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული.

სხვა ტექნიკურ მახასიათებლებთან ერთად, ახალი თბოელექტროსადგურის უწყვეტი და საიმედო მუშაობისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი აუცილებელი პირობები: გაზის ტურბინის მწარმოებელი ფირმა იყოს General Electrics, Mitsubishi ან Ansaldo Energia, კრიტიკული აღჭურვილობის ჭარბი რაოდენობა (redundancy); წმინდა ეფექტურობის (net efficiency) მინიმალური მაჩვენებელი - არანაკლებ 56%; სადგურის თითოეული შემადგენელი ნაწილი და მოწყობილობა უნდა იყოს ახალი; ოპერირება, ექსპლუატაციის პერიოდის მანძილზე, უნდა განხორციელდეს გამოცდილი კომპანიის ან/და პროფესიონალი თანამშრომლების მიერ და ა.შ.

უკვე განსაზღვრულია კრიტერიუმებიც, რომლითაც შემოსული წინადადებები შეფასდება: კომისიის მიერ, პირველ რიგში, 1 მგვტ-ის მშენებლობაზე უმცირესი ფასის მქონე შემოთავაზება გამოვლინდება, ხოლო შემდეგ უკვე მისი შესაბამისობა თუ შეუსაბამობა წინადადებებზე მოწვევის დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კომისია გამარჯვებულს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოავლენს, თუ შემოთავაზება ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უმცირესი ფასის მქონე მომდევნო წინადადება განიხილება. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნავთობისა და გაზის კორპორაციამ საქართველოს მთავრობისგან უნდა მოიპოვოს შესაბამისი უფლება რის შემდეგაც გამარჯვებულთან ხელშეკრულება გაფორმდება.

ელექტრონული აუქციონი ღიად ჩატარდება და მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ექნება. ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ვებ-გვერდებზე განთავსდება.

რაც შეეხება ვადებს, პროცედურის პერიოდი ორი თვით განისაზღვრება (2023 წლის 30 ივნისიდან 2023 წლის 31 აგვისტომდე), ხოლო წინადადებები 25 აგვისტოდან 31 აგვისტოს 18:00 საათამდე მიიღება. მონაწილეებს მხოლოდ ერთი წინადადების წარმოდგენის უფლება აქვთ“,- ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

## უკრაინა

უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარის განცხადებით, ქვეყნის შეიარაღებული ძალები აგრძელებს შეტევით ოპერაციას მელიტოპოლის, ბერდიანსკის და ბახმუტის მიმართულებებზე. „შეტევითი ოპერაცია გრძელდება. მიმდინარეობს სასტიკი ბრძოლა ჩვენი მიწის თითოეული მეტრისთვის. წარმატებით მივიწევთ წინ“, - განაცხადა ანა მალიარმა. მისივე თქმით, რუსი სამხედროები აგრძელებენ წარუმატებელ შეტევას ლიმანის, ავდეევკის და მარიინკის მიმართულებებზე. „როვნოპოლი-ვოლოდინოს მიმართულებაზე გვაქვს წარმატება, ახლა მიმდინარეობს გამაგრება დაკავებულ პოზიციებზე, რუს სამხედროებს სერიოზული დანაკარგები აქვთ. ფაქტობრივად ნადგურდება მოწინააღმდეგის შეტევითი პოტენციალი, ტექნიკა, საწყობები, მართვის პუნქტები და პირადი შემადგენლობა“, - აღნიშნა უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ.

* * *

გერმანიამ უკრაინას სამხედრო დახმარების ახალი პარტია, მათ შორის TRML-4D ტიპის საჰაერო სათვალთვალო რადარი გადასცა.- ინფორმაცია გერმანიის მთავრობის ვებგვერდზეა განთავსებული. ამასთან, დახმარების ახალი პარტია მოიცავს: Biber-ის ტიპის ხიდის გამდებ სამ ტანკს, განაღმვის მოძრავ სისტემას, სასაზღვრო ავტომობილებსა და Zetros-ის სატვირთო მანქანებს.

* * *

უკრაინელმა სამხედროებმა მოწინააღმდეგის სამეთაურო პუნქტებს, კონცენტრირების რაიონებსა და 13 საარტილერიო ქვედანაყოფს დაარტყეს, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. უწყების ცნობით, რუსულმა ძალებმა უკრაინაზე Shahed-ის ტიპის დრონებისა და S-300 ტიპის საზენიტო მართვადი რაკეტების გამოყენებით მორიგი სარაკეტო და საჰაერო დარტყმა განახორციელეს. „ამ ტერაქტის შედეგების შესახებ ინფორმაცია ამ დრომდე ზუსტდება“, - აცხადებენ გენშტაბში. გარდა ამისა, უწყების ცნობით, რუსებმა ზაპოროჟიესა და ჩუგუევის სამოქალაქო ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე თავდასხმისთვის S-300 ტიპის ექვსი რაკეტა გამოიყენეს. „რუსმა ოკუპანტებმა სულ 29 საჰაერო დარტყმა განახორციელეს და უკრაინის ჯარების პოზიციებსა და დასახლებებს მრავალჯერადი სარაკეტო სისტემებიდან ცეცხლი 60-ჯერ გაუხსნეს“, - აცხადებენ გენშტაბში. მოწინააღმდეგის ქმედებების საპასუხოდ, უკრაინის საავიაციო ძალებმა ერთ დღეში 11 დარტყმა მიაყენეს იმ რაიონებს, სადაც მტრის პერსონალი იყო კონცენტრირებული. „სარაკეტო და საარტილერიო ქვედანაყოფებმა მოწინააღმდეგის მართვის 3 პუნქტს, ცოცხალი ძალის კონცენტრაციის 2 რაიონს, სარადარო სადგურსა და 13 საარტილერიო ქვედანაყოფს დაარტყეს“, - აღნიშნულია გენშტაბის ანგარიშში.

* * *

რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში 228 340 სამხედრო დაკარგა, - ინფორმაციას უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. გენშტაბის ცნობით, უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთის საერთო დანაკარგები მოიცავს: 3 041 ტანკს, 7 863 ჯავშანტექნიკას, 1 127 ერთეულ საარტილერიო სისტემას, 315 საბრძოლო თვითმფრინავს და 308 ვერტმფრენს, 6 785 ავტომობილსა და საწვავის ავზს, 18 გემს/ნავს, 3 519 უპილოტო საფრენ აპარატს, 569 ერთეულ სპეცტექნიკას და 1 261 ფრთოსან რაკეტას.

* * *

აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი მოულოდნელი ვიზიტით უკრაინას ეწვია. „უკრაინაში თავისუფლება იმარჯვებს და ახლა, როგორც არასდროს, ჩვენ გვჭირდება, შევინარჩუნოთ რწმენა მამაცი მებრძოლების მიმართ, რომლებიც იცავენ თავისუფლებას და რუსეთის აგრესიას წინააღმდეგობას უწევენ“, - უთხრა პენსმა ჟურნალისტებს პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან გამართული შეხვედრის შემდეგ. „დარწმუნებული ვარ, მოვა დღე, როცა უკრაინის სუვერენიტეტი აღდგება. თავისუფალი სამყარო არ შეეგუება რუსეთის შეჭრას“, - თქვა მან. პენსი პირველი „რესპუბლიკელია“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში პარტიის ნომინაციის მოსაპოვებლად იბრძვის და, კამპანიის განმავლობაში, პრეზიდენტ ზელენსკის შეხვდა. მაიკ პენსი ვლადიმერ პუტინს ხმამაღლა აკრიტიკებს და უკრაინას სრულ მხარდაჭერას უცხადებს. რაც შეეხება ნომინაციისთვის ბრძოლაში მის კონკურენტს, აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, ის უარს ამბობს თქვას, რომ მიმდინარე ომში უკრაინის გამარჯვება სურს. ტრამპი აცხადებს, რომ კონფლიქტის რუსეთსა და უკრაინას შორის მოლაპარაკებებით გადაწყვეტა სურს.

* * *

ვოლოდიმირ ზელენსკი ვილნიუსში, ნატოს სამიტზე მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავა, თუ უკრაინა დამაკმაყოფილებელ შედეგს მიიღებს. ამის შესახებ პრეზიდენტის აპარატის უფროსის მოადგილემ, ზელენსკის დიპლომატიურმა მრჩეველმა იჰორ ჟოვკვამ განაცხადა. კითხვაზე, რა მინიმალური პირობებია ზელენსკის ნატოს სამიტზე დასწრებისთვის, ჟოვკვამ პარლამენტში მის გამოსვლაზე ისაუბრა, სადაც უკრაინის ლიდერმა თანამედროვე მსოფლიოში გამბედაობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. „პრეზიდენტი არ წავა სამიტზე, თუ ლიდერები გამოიჩენენ ან გამოავლენენ სიმამაცის ნაკლებობას მაშინ, როცა უკრაინა მთელი სიმამაცით, ნებისყოფით და მაღალი ზნეობით ებრძვის რუსეთის აგრესიას“, - თქვა მან. მისივე განცხადებით, უკრაინის პრეზიდენტის ვილნიუსის სამიტზე წასვლას „აზრი არ აქვს, თუ იქ შედეგი არ იქნება“. ზელენსკის მრჩევლის თქმით, უკრაინა ახლა უფრო ახლოს არის ალიანსში მოწვევის მიღებასთან, ვიდრე ექვსი თვის წინ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

# „გლობალიზაცია რომც არ გვინდოდეს, ეს გარდაუვალია“

მე-3 გვერდიდან

- 90-ინი წლების დასაწყისში საქართველომ აიღო პოლონური განვითარების „შოკური თერაპიის“ მოდელი. მან პოლონეთი აქცია ევროკავშირის წევრ ქვეყნად და ეკონომიკური ზრდა გამოიწვია, მაგრამ საქართველოში შედეგი ვერ გამოიღო. მიზეზი, პირველ რიგში, ის იყო, რომ ჩვენ უცვლელად გადმოვიღეთ, არ გავითვალისწინეთ ადგილობრივი სპეციფიკა; მეორე - ის რეფორმები, რომლებიც ამ შოკური თერაპიის ფარგლებში უნდა გატარებულიყო, ბოლომდე არ მიიყვანეს. გლობალიზაცია რომც არ გვინდოდეს, ეს გარდაუვალია. ჩვენ რეალურად უნდა დავიტოვოთ რაც გვაქვს საუკეთესო და შევითვისოთ დასავლეთის მიღწევები, კულტურა, მაგალითად, შრომის კულტურა, რომელიც საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა. დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობა ჩვენთან რა დონეზეა, ყველამ კარგად იცის. ექსპერიმენტი ჩავატაროთ: გამოვიდეთ ქუჩაში დილის 9 საათზე და ვნახოთ, რომელი მაღაზიაა ღია, რომელი - არა. ყველაზე კარგი ბანკები (საქართველოს ეროვნული ბანკი, „თიბისი ბანკი“) 10:00 საათზე იწყებს მუშაობას, 11:00 საათზე იხსნება ობიექტები, ასეთ ვითარებაში ზედმეტია ეკონომიკურ განვითარებაზე საუბარი, ჩვენ მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ დღის სინათლე. ევროპაში მუშაობა დილის 7:00 საათზე იწყება. ბიოლოგიური რიტმის თანახმად, ადამიანმა დილით უნდა დაიწყოს მუშაობა, რომ თავისთვისაც დარჩეს დრო. 10 საათზე რომ იწყებ მუშაობას და რვამდე სამსახურში ხარ, მერე შენი საკუთარი თავისთვის არ გცალია, რაც ნამდვილად არაა სასურველი.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/06/23, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ლიმპოპოს“ ოცდაათწლიანი ფერადი სამყარო

მანანა ქიქიშვილი 598 24 94 97

*ჩვენს ქალაქში ბავშვთა და მოზარდთა არაერთი შესანიშნავი სტუდია და ანსამბლია, თუმცა ვინც ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ (ხელმძღვანელი - ლეილა ალექსანდროვა) ბათუმის ხელოვნების ცენტრში გამართულ საიუბილეო კონცერტს დაესწრო, ყველა დამეთანხმება, რომ იგი აჭარაში სახელოვნებო სტუდიებს შორის არა მხოლოდ ხელწერით, კიდევ ბევრი რამითაა გამორჩეული და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც*



სტუდიაში საბავშვო-საესტრადო და ხალხური სიმღერების გარდა, მსოფლიოს ხალხთა ცეკვები, ტანვარჯიშის საწყისი ეტაპი, ხატვა, მეტყველება, უნარ-ჩვევები, ფსიქოლოგიური თამაშები, უცხოური ენები, მათ შორის, ინგლისური და რუსული (დაწყებითი განათლება) ისწავლება. სწავლება სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში სხვადასხვა ეტაპად მიმდინარეობს. სტუდიის მიზანი ბავშვებში მაღალმხატვრული გემოვნების ჩამოყალიბება და მისი სწორად წარმართვა, ეროვნული და მსოფლიოს ხალხთა საესტრადო, ფოლკლორული სიმღერებისა და ცეკვების პოპულარიზაციაა, რომელთა შერჩევაც ბავშვთა ასაკის გათვალისწინებით ხდება.

„ლიმპოპო“ თანამშრომლობს არაერთ ქართველ კომპოზიტორთან და რეპერტუარში კიდეც აქვს შეტანილი შესანიშნავი სიმღერები, რომელთა დიდი ნაწილი საიუბილეო კონცერტზე მოვისმინეთ. პროგრამაში 28 მუსიკალური ნომრიდან 20 ქართული იყო, რაც არ შეიძლება არ გახარებდეს.

საღამო, რომელიც ამავე სტუდიის აღზრდილ ამიკო ჩოხარაძეს მიჰყავდა, საინტერესო და მრავალფეროვანი იყო - მაყურებელმა მონაწილეთა სიმღერებისა და ცეკვების არა მარტო მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებით ისიამოვნა, არამედ ლამაზად გაფორმებული სცენითა და გემოვნებიანი კოსტიუმებითაც. ულამაზესმა და ფერადმა სანახაობამ, სწორად შერჩეულმა რეპერტუარმა მოხიბლა აუდიტორია, რომელიც თითქმის ყველა ნომრის შესრულების შემდეგ მხურვალე ტაშით აჯილდოებდა მონაწილეებს.



„ლიმპოპოს“ წევრებმა ამ 30 წლის განმავლობაში არაერთ რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე წარმოაჩინეს თავი სიმღერებითა და ცეკვებით, მოიპოვეს როგორც პირველი ადგილები, ისე არაერთი გრანპრი. მათი ჩამოთვლა საგაზეთო წერილით ძნელია, უბრალოდ, რამდენიმეს დავასახელებთ, რომლებიც „ლიმპოპოში“ დაფრთიანდნენ და შემდგომში წარმატებული გახდნენ, მათ შორის არიან ამიკო ჩოხარაძე, თამთა ხუხუნაიშვილი, მარიტა ცეცხლაძე, მარიამ მოსეშვილი (მათ დაამშვენეს კიდეც საიუბილეო კონცერტი თავიანთი გამოსვლით)... დასამახსოვრებელი იყო ინოლა გურგულიას სიმღერა დედა-შვილის შესრულებით, გულისამაჩუყებელი - უკრაინიდან დევნილი მარიუპოლელი და ისრაელიდან გადმოსული ებრაელი გოგონების გამოსვლები.

კონცერტზე, გარკვეულწილად, „ლიმპოპოს“ საქმიანობის 30-წლიანი მუშაობაც შეფასდა და დაფასდა - სტუდიის დამფუძნებელმა თამაზ ნიკოლაიშვილმა თითოეული პედაგოგი მადლობის სიგელით დააჯილდოვა.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა საკითხების განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნათია ჩახვაძემ მერ არჩილ ჩიქოვანის მიერ მიღებული დადგენილება გააჟღერა: ხელოვნების სტუდია „ლიმპოპოს“ არაერთი თაობის აღმზრდელებს - ქორეოგრაფ ნატალია ბერძენიშვილსა და მუსიკის პედაგოგ ნატალია გოგოტიშვილს, სტუდიის დაარსების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის დამსახურებული მოღვაწის წოდება მიენიჭათ, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა (თავმჯდომარე - რევაზ ჭანიშვილი) კი თამაზ ნიკოლაიშვილს საპატიო წევრის წოდება მიანიჭა.

- რამდენიმე ხნის წინ იუმორი და ცეკვა „მოვსინჯე“ და კარგად გამომივიდა, ახლა სიმღერაზე გადავერთე და ვფიქრობ, არც ეს გამომდის ცუდად. 35 წლის ვარ, „ლიმპოპო“ კი 30-ის, ანუ სამი ათეული წელია, ერთად მოვდივართ. ეს არის ჩემი ბავშვობა, ახალგაზრდობა, დღევანდელობა. ვფიქრობ, სტუდია „ლიმპოპოს“ დამსახურებით მივაღწიე წარმატებას. სწორედ ამ ანსამბლის წევრმა, სკოლის მოსწავლემ გავიმარჯვე ოდესაში გამართულ საერთაშორისო კონკურსში „სლავიანსკი ბაზარ“ - 864 მონაწილე მომღერალ ბავშვს შორის საუკეთესო ვოკალისთვის გრანპრი მომენიჭა. ეს მართლაც დიდი წარმატება იყო. ამ სტუდიაში ჩემი ეგრეთ წოდებული საფირმო ნომერი იყო მაიკლ ჯექსონის ცეკვა, დღესაც ამ ნომრის პატარა მონაკვეთით ბავშვობა გავიხსენე. მჯერა, „ლიმპოპო“ დიდხანს იარსებებს, ისევე გაუთბობს გულს ახალ თაობებს, როგორც თავის დროზე ჩვენ გაგვითბო. „ლიმპოპო“ მუდამ ჩემთანაა, - გვითხრა პოსტივის ტელევიზიის ნიკო ნანიტაშვილის გადაცემის ბენდის წევრმა ამიკო ჩოხარაძემ.

„ლიმპოპოს“ ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერისათვის, ბათუმის მერიას - აჭარის რეგიონებში გასვლითი კონცერტების დაფინანსებისათვის და ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრს - საიუბილეო კონცერტის ჩატარებაში გაწეული თანადგომისთვის.

# ირინეს უბედურება, როგორც საზოგადოების მანკიერების გარდაუვალი შედეგი

*რეჟისორ მერაბ ლებანიძის მხრიდან, ვფიქრობ, ძალიან კარგი იდეა იყო ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის მესამეკურსელებთან დავით კლდიაშვილის პიესა „ირინეს ბედნიერების“ დადგმა. ფემიციდი, როგორც პატრიარქალური საზოგადოების დასაბამიდანვე თანმდევი, დღეს განსაკუთრებული სიმწვავით ჟღერს ამ პიესაში, რომლის სათაურშივეა მინიშნებული, რომ მსხვერპლი ქალია*

დავით კლდიაშვილისეული მახვილი თვალითა და სარკაზმით დანახულ რეალობაში არაერთაზროვნადაა ნაჩვენები, რა ადვილად შეიძლება გადაყვეს მამრის ქეიფს ქალის მთელი ცხოვრება. მერაბ ლებანიძემ სპექტაკლში არა მხოლოდ ხაზი გაუსვა, რომ თანამედროვე ყოფაშიც საკმაოდ აქტუალურია ქალის ნების უგულებელყოფის პრობლემა, არამედ კიდევ უფრო გაამძაფრა მთლიანად ქართული საზოგადოების ნაკლოვანი მხარეები. რეჟისორის ინტერპრეტაციაში მოქმედება 21-ე საუკუნეში ხდება. კლდიაშვილისეული გმირები ჩოხებში კი არა ბოტასებსა და თანამედროვე ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი. ირინეს ამ ეპოქისთვის დამახასიათებელი შარვალი აცვია და სახლში მამის კმაყოფაზე მყოფი კი არა, ერთ-ერთ კვების ობიექტში მომუშავე ქალია, თუმცა მაინც ხდება მამაკაცური ჟინისა თუ პატივმოყვარეობის მსხვერპლი.



უნდა ვთქვათ, რომ მერაბ ლებანიძის მზერა მთელი საზოგადოების მანკიერებისკენ უფროა მიპყრობილი, ვიდრე ერთი ქალის გაუბედურებისკენ, ისიც ცხადია, რომ სწორედ პირველს მოჰყვება მეორე, ანუ საზოგადოების უზნეობას - ინდივიდის ტრაგედია. სპექტაკლში არაერთი სიურპრიზია, მაგალითად, კლდიაშვილისეული აბესალო აქ დარდიმანდი საქმოსანია, რომელიც ქრთამით აგვარებს საქმეებს, ხოლო ირინეს ნათესავი ვიქტორი მექრთამე მოსამართლეა. აბესალო ირინეს ხელში ჩაგდების შემდეგ მღვდლად მოგვევლინება, რომელიც მეუღლეს ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად ნარკოტიკებითაც „აბედნიერებს“. ირინეს პირველი და ერთადერთი სიყვარულისადმი - პავლეს მიმართ ეჭვიანობით, საკუთარი გულღრძოობითა და ირინეს მხრიდან მხილებით დაბრმავებულ-გამხეცებული აბესალო ხატის თავში ჩაცხებით კლავს ცოლს. ლებანიძის გადაწყვეტით, აბესალო ირინეს არა მხოლოდ ფიზიკურად, მანამდე სულიერადაც ანადგურებს, რაც ბევრად უარესია. ცხადია, ქალი, რომელიც ხატის ზედაპირიდან იყნოსავს კოკაინს, სულიერებისგან შორსაა. კარგად ჩანს ისიც, რომ თავად ირინემაც შესანიშნავად იცოდა, დეგრადაციის დაღმართზე რომ მიექანებოდა და ეს გარემოება საძულველ ქმართან იძულებით სიახლოვეზე არანაკლებ სტანჯავდა. აქედან გამომდინარე, მისი გარდაცვალება თითქოს გარდაუვალიც იყო, როგორც ერთადერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

სპექტაკლში მწვავედ დგას უსამართლობის, უკანონობის დამღუპველი გავლენა პიროვნებაზეც და საზოგადოებაზეც. ეს კარგად ჩანს პავლესა და ირინეს უმწეობაშიც, ფილიპეს უნიათობაშიც და აბესალოს თავგასულობაშიც. უდავოდ, მისასალმებელია, რომ მერაბ ლებანიძემ სტუდენტები აქედანვე აზიარა თეატრის მთავარ დანიშნულებას - საზოგადოებას საკუთარი თავი დაანახოს, შესაძლოა უტრირებულადაც, მაგრამ აჩვენოს მისი მანკიერი მხარეები, რათა კათარზისისა და განვითარებისკენ უბიძგოს. მართალია, დამწყები მსახიობები (მარიამ მაშავა - ირინე, შაკა კვარაცხელია - ფილიპე, ტამანგო ჯღერია - პავლე, დავით მამრიკიშვილი - აბესალო, კახაბერ ბრეგაძე - ვიქტორი) ჯერ შორს არიან მხატვრული სახის მრავალწახნაგოვნად, სრულყოფილად წარმოჩენისგან, მაგრამ საკმაოდ კარგად, მანერულობის გარეშე, უმკლავდებიან რეჟისორის ჩანაფიქრის გადმოცემას. ვფიქრობ, ეს საკურსო სპექტაკლი მათთვის ერთგვარი ტრამპლინი იქნება და მომავალში ყოველთვის ეცდებიან მაქსიმალური სიმწვავით გამოხატონ სათქმელი, რომლის დამალვაც არ შეიძლება.



ახალბედა შემსრულებლებს ნამდვილად ეტყობათ მეტყველების პედაგოგ, პროფესორ თეა ცაგურიას ხელი. სტუდენტებს სასცენო ხელოვნების სცენაზე წარმოჩენაში ასევე ეხმარებოდა პროფესორი თამარ ბერიძე (მოძრაობა), გრიმი ეკუთვნის კარინა კარდაშიანს, გახმოვანება - ალექსანდრე ოჩიგავას, განათება - თენგო დავითაძეს, კოსტიუმების დამზადება - ნანა კუპრაძეს.

მერაბ ლებანიძის არაერთი ყოფილი სტუდენტი ამშვენებს დღეს ბათუმის თეატრებს, ადვილი საფიქრებელია, რომ ამ სპექტაკლის მონაწილეები ასევე თავის სიტყვას იტყვიან მშობლიური კუთხის, იქნებ მთელი საქართველოს თეატრალურ ხელოვნებაშიც.

მარინა მითაიშვილი